ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1–2096

"25" სექტემბერი 2017წ.

„ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე, №37-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის დასაპროექტებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქ. თბილისის მერის 2010 წლის 23 აპრილის №1385 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე და 63-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 13 ივლისის №28 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე, №37-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობის დასაპროექტებლად ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქ. თბილისის მერის 2010 წლის 23 აპრილის №1385 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილი №37/წყნეთის გზატკეცილი, №37-ის მიმდებარედ მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.06.007.083) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ";

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილი №37/წყნეთის გზატკეცილი, №37-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.06.007.083), მრავალფუნქციური შენობის განსათავსებლად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,9.";

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების

განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“. TBCBGE22. ანგარიში: GE36TB7002533030100288.) 22 899.8 (ოცდაორი ათას რვაასოთხმოცდაცხრამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.“.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

საგადახდო დავალება N1

რეფერენსი

5307239007

გადამხდელის დასახელება: ოქრომელიძე თორნიკე

ანგარიში (დებეტი) GE56BG4501981288090000
(ძველი ანგ.)

გადამხდელის ბანკი:
სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი
BAGAGE22

გადასახადის გადამხდელის დასახელება: ამხანაგობა "ბაგები წყნეთის გზატკეცილი # 37'

საიდენტ. კოდი 205191059

მიმღების დასახელება: ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში

ანგარიში/სახაზინო კოდი (კრედიტი) 300773263

მიმღების ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი
TRESGE22

გადახდის დანიშნულება: დადგენილების # 002232 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე. ამხანაგობა "ბაგები წყნეთის გზატკეცილი # 37 ' . ს.კ- 205191059

დამატებითი ინფორმაცია: 47001039390

ხელმოწერები:

ხელმძღვანელი _____

მთ. ბუღალტერი _____

ბ.ა.

თანხა

4000-00

თანხა სიტყვებით

ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები

წარდგენის თარიღი: 29.03.2017

მიღების თარიღი: 29.03.2017

თუ საგადახდო დავალების შესრულების თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მისი შესრულება განხორციელდება, მომდევნო სამუშაო დღეს

ხელმოწერა _____

შტამპისადგილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/9288-17

"27" 02 2017 წ.

დადგენილება №002232
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

27.02.2017წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ ვლადიმერ ყუშიტაშვილმა განვიხილე 2017 წლის 05 იანვრის №002232 მითითება და 2017 წლის 26 იანვრის №002232 შემოწმების აქტი, შედგენილი ამხანაგობა "ბაგები წყნეთის გზატკეცილი №37"-ის (თავმჯდომარე თენგიზი ლაბაძე, პირადი №01012006769, მის: ქ. თბილისი, წყნეთის გზატკეცილი №37, საკ. კოდი №01.14.06.007.047) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №37, საკ. კოდი №01.14.06.007.047-ში ამხანაგობა "ბაგები წყნეთის გზატკეცილი №37"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ბ" ბლოკის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2819176 AR1409152 06.09.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: ფასადი „1-5": 0.00 ნიშნულზე „4-5" მონაკვეთში „ბ-ბ" ღერძზე დამატებით მოწყობილია ლითონის კარი. ფასადი „ა-გ": 0.00 ნიშნულზე „ბ-გ" მონაკვეთში მოწყობილია ფანჯარა. ფასადი „5-1": 0.00 ნიშნულზე „4-3" მონაკვეთში დამატებულია ფანჯრის ღიობი და დანარჩენ სართულებზე შემცირებულია კიბის უჯრედის ღიობების გაბარიტები. 0.00 ნიშნულზე „4-5" მონაკვეთში „ბ-ბ" ღერძზე და „ბ-გ" მონაკვეთში „5-5" ღერძზე მოწყობილია კაპიტალური კედლები და ღია ფართი დახურულია. ფილა გადასულია კოლონებს გარეთ. 0.00 ნიშნულიდან 23.00 ნიშნულამდე „4-4" ღერძზე დიაფრაგმებში დამატებით მოწყობილია კარის ღიობი. 26.30 ნიშნულიდან ზევით კოლონებს შემცირებული აქვთ გაბარიტები. 29.60 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე. 33.50 ნიშნულზე კიბის უჯრედის დანაშენის ნაცვლად მოწყობილია ტიპიური სართული. სართულებზე კოლონებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილდებარეობა. გაზრდილია რიგელების რაოდენობა. „ბ-გ" და „4-3" მონაკვეთების გადაკვეთაზე ლიფტისთვის განკუთვნილ ღიობს გაზრდილი აქვს გაბარიტი რის ხარჯზეც „3-3" და „4-4" ღერძების მიმდებარე საპროექტო კიბის მარშები მიბჯენილია დიაფრაგმებზე. „3-3" ღერძზე დიაფრაგმებში გაზრდილია კარის ღიობების სიმაღლე. სართულშუა გადახურვის ფილებში დამატებულია საკომუნიკაციო ღიობები. ნაწილობრივ შემცირებულია კარ-ფანჯრის გაბარიტები და ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილმდებარეობა. აივნების ნაწილს შემცირებული აქვთ გაბარიტები. შეცვლილია კარების ვიზუალური მხარე.

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 37[illegible] 2 378 396

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2017 წლის 05 იანვარს შედგენილ იქნა მითითება №002232, რომლითაც მხარეს განესაზღვრა ოცი კალენდარული დღის ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2017 წლის 26 იანვარს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №002232, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა, კერძოდ, ნაწილობრივი შესრულება.

2017 წლის 23 თებერვალს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ მხარეს ეცნობა კანონით გათვალისწინებული წესით. სხდომაზე გამოცხადდა ამხანაგობა "ბაგები წყნეთის გზატკეცილი №37"-ის წარმომადგენელი ლერი ხვადაგაძე (პირადი №01011039625, მინდობილობა №170130052, რეგისტრირებული ნოტარიუს ანა ქაჯაიას მიერ 09.02.2017წ.), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. ასევე აღნიშნა, რომ დარღვევების გამოსწორდება პროექტის კორექტირების გზით. საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ამხანაგობა "ბაგები წყნეთის გზატკეცილი №37"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილი №37, ს.კ. კოდი №01.14.06.007.047-ში ამხანაგობა "ბაგები წყნეთის გზატკეცილი №37"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის "ბ" ბლოკის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №2819176 AR1409152 06.09.2016წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. ამხანაგობა "ბაგები წყნეთის გზატკეცილი №37" დაჯარიმდეს 4000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. ამხანაგობა "ბაგები წყნეთის გზატკეცილი №37"-ს დაევალოს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში. საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი:

სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22**, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, ამხანაგობა "ბაგები წყნეთის გზატკეცილი №37"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე ვ. ყუშიტაშვილი